ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს:
მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2023 წლის განმავლობაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა „ 75 ” განცხადება, მათ შორის:

მოქალაქის განცხადება - 54
მედიის განცხადება - 4
ორგანიზაციის განცხადება - 9
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის - 6
საქართველოს პარლამენტის - 1
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური - 1

შემოსული განცხადებებიდან ,, 31 ” მოთხოვნა დაკმაყოფილდა; ,, 13 ” ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ,, 29 “ არ დაკმაყოფილდა; „ 2 “ გადაეგზავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს რეაგირებისათვის;

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის მიერ:

მარიანა გახოკიძე - 2016 წლის 1 სექტემბრიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით შემოვიდა ერთი საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სასარჩელო წესით არ გასაჩივრებულა.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

კანცელარიისა და მოქალაქეთა
მისაღები განყოფილების უფროსი Mariana Gakhokidze 61001032345 Digitally signed by Mariana Gakhokidze Date: 2023.12.11 12:55:31 **მარიანა გახოკიძე**